№ 178 27 აგვისტო, ხუთშაბათი. 1866—1881 27 აგვისტო, ხუთშაბათი. № 178.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროების“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭუმბაძესთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროების“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 3 კაპ., წვრილის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილ-წვრილის ასოებით ასოზე მეოთხედი კაპ. წინ-სიტყვები...
თუ ხაზირება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

თამბაქოს ფაბრიკანტი ქუთაისში
სტეფ. პეტრ. ფირალოვი
ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მის ფაბრიკაში მიღებული სამზღვარ გარეთიდამ ნამდვილი და საუკეთესო ოსმალოს თამბაქო სხვა და სხვა ხარისხისა, რომლიდგანაც აკეთებენ ჩემს ზედამხედველობის ქვეშ პაპიროზებს და თამბაქოებს.
ვაჭრობა ჩემი ფაბრიკის თამბაქოისა და პაპიროზების არის:
ა) ქუთაისში—მიხაილოვის და ქარვასლის ქუჩაზე.
ბ) თბილისში—ივერიის თამბაქოს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.
გ) ფოთში—ბერძენების ქუჩაზე, მაინცივის სახლებში.
ბლომად მყიდველს აღნიშნულ ფასზედ 25% ნაკლებ მიეცემა. ზემოხსენებულ მაღაზიებში მიიღება ყოველივე შეკვეთა, რომელიც აღსრულდება სიჩქარით.
(3—2)

## ტელეგრამმები

(„საქართველოს ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 25 აგვისტ. „მმართებლობის მოამბეში“, 21 აგვისტოს, სწერენ. პეტერგოფი. მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი მიიღებს სტავროპოლის გუბერნატორს ფონ-დენს და თბილისისას თ. გაგარინს. გამოჩენილი პროფესსორი ვირხოვი მიდის კავკასიაში ისტორიულ ადგილების ნაშთის შესასწავლებლად.

პეტერბურღის ბირჟა, 25 აგვისტოს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 96 | 50 |
| მეორესი | 94 | „ |
| მესამესი | 94 | 75 |
| მეოთხესი | 94 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | 75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | 87 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7 | 60 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 229 | 50 |
| მეორე სესხის | 225 | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | 26—06 | პენსი |
| ბერლინი | „ — „ | პფენიგი |
| გამბურღი | 205—50 | ცენტი |
| პარიჟი | 284—25 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — — — | |

## კარგ მოსავლის გამო

თბილისი, 26 აგვისტოს.

საქართველოს ყოველი მხრიდამ წელს კარგ მოსავლის ამბავი მოდის; კახეთში ღვინო და პური, ქართლში პური, იმერეთში—სიმინდი და ღომი, აგრეთვე სამეგრელო—გურიაში ყველგან უხვი მოსავალი არისო, სოფლის ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქაო.

მაგრამ გასაკვირველი ეს არისო, სწერენ ამასთანავე ყველა მხრიდამ, რომ ამ მოსავლის საუხვეს თითქმის არავითარი გავლენა არა აქვს ნამუშევრის ფასის დაკლებაზედაო; როგორც შარშან და შარშანწინ, სიძვირის დროს, ისყიდებოდა პური, სიმინდი, ღვინო და სხვა, ახლაც ყველაფერი ისე იყიდებაო. განსაკუთრებით ქალაქებში არაფერს არ აკლდება ფასიო.

ეს რომ მართალია, ჩვენს ქალაქშიაც კარგათ ვხედავთ და ვგრძნობთ: სიძვირის დროს, როდესაც ფქვილი ქალაქში ორ მან. ნახევრად და მეტათაც ისყიდებოდა, გირვანქა პური შაურად იყო და ახლა, როდესაც ფქვილი თითქმის ნახევარ ფასად ღირს, გირვანქა პურის ფასმა მარტო ნახევარ კაპეიკი დაიკლო ფასი.

რისგან არის ეს? ერთი უმთავრესი მიზეზი ამ გასაკვირველ გარემოებისა, უეჭველია, ვაჭრები არიან. ესენი ასე ჰფიქრობენ: ერთხელვე ერთს ფასზე არის ხალხი მიჩვეული, ქალაქის ხალხმა რაიცის—თუ სოფელში ჩვენ ფქვილს იაფად ვყიდულობთო,—და არ უკლებენ ფასს.

ბევრჯელ გვითქვამს და ახლაც ვამბობთ: ერთი უმთავრესი წამალი ამ შემთხვევაში ის იქნება, რომ თვითონ სოფლის მწარმოებლებმა გამართონ ქალაქში ვაჭრობა, შეადგინონ ამხანაგობა, გამართონ დეპო ანუ მაღაზია და, ვაჭრების მიყიდვის მაგიერ, პირ-და-პირ იმათ მიჰყიდონ თავიანთი ნაწარმოები, ვისაც ეჭირვება, ვინც ხმარობს, ვისაც თავისთვის უნდა და არა გასასყიდლად.

ეს სასარგებლო იქნება როგორც თვითონ მწარმოებლებისათვის, რადგან ისინი მომხმარებელთაგან უფრო მომეტებულ ფასს აიღებენ, აგრეთვე ამ მომხმარებელთათვისაც, რომელნიც სოფლის ხალხისაგან უფრო იაფად იყიდიან, ვიდრემ ვაჭრებისაგან.

ამ რამდენიმე წლის წინათ ამგვარ დეპოს გამართვაზე იყო ლაპარაკი. ზოგიერთი თავად-აზნაურები აპირებდნენ ღვინის სარდაფის გამართვას, სადაც სოფლიდამ უნდა ჩამოეტანათ ღვინო გაეყიდნათ ქალაქში და მოგება ერთმანეთში გაეყოთ.

იყო ლაპარაკი აგრეთვე იმაზედაც, რომ ცალკე ბაზარი (დიდი შენობა) გაიმართოს ქალაქში, სადაც ყოველგვარ სოფლის ნაწარმოების დაწყობა და გაყიდვა შეიძლებოდეს, რომ სოფლის ხალხი ქალაქის ვაჭრებისა და ჩარჩებისაგან არ იყვნენ დამოკიდებულნი, შეწუხებულნი.

საუბედუროთ, არც ერთი ამ აზრთაგანი ვერ მოვიდა სისრულეში ჯერჯარობით.

მგონია, არც ერთს ქალაქში არ ჯდება ისე ძვირად ცხოვრება, როგორც ჩვენს ქალაქში. ამ გარემოებას ქალაქის გამგეობისაგან განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული და უნდა ცდილობდეს, რომ ღარიბ ხალხს ღარიბულად, მაგრამ კაცურად ცხოვრების ღონის-ძიება მისცეს, იმ დროს მაინც, როდესაც მოსავალი ბლომად არის...

## ახალი ამბები.

ბუშინდელ „კავკაზში“ დაბეჭდილი შემდეგი ცირკულიარი დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისა:

„კავკასიის აქეთა და იქითა მხრის ყველა თანამდებობის პირთ.

„ივლისის 14 და 23 უმაღლესის ბრძანებით, მე დათხოვნილი ვარ კავკასიის მთავარ მმართებლის თანამდებობიდამ და დანიშნული სახელმწიფო რჩევის თავ-მჯდომარედ.

„დიდის მწუხარებით ვტოვებ მე კავკასიის მხარეს, რომელსაც შევწირე სანგრძლივის მყოფობით და შრომით, მსა-

---

## «დროების» ფელეტონი, 27 აგვისტ.

### ქუთათური ამბები

ზაფხულის სიცხე და საზოგადოებრივი ცხოვრების უფერულობა.—ცირკი, ჯამბაზები და მაიმუნი. „დროების“ კორრესპონდენტების დაწყება და დაბეზღება ნიჰილისტობის დაწყებით.—ამ დაბეზღების მთავარი აზრი და გამამტყუნებელი მუხლები.

ჩვეულების წინააღმდეგ წლევანდელმა ზაფხულმა ივანობის და პავლობის თვის ნაცვლად ამ მარიამობისთვეში იჩინა ქუთაისზე თავის ძალა, სულის და გულის შემწუხებელი. ვისაც კი შეძლება და მოცალეობა ნებას აძლევდა, ყველამ სოფლებს და მაღნის წყლებს მიაშურა. ვინც დარჩენენ—თავ-თავიანთ სოროებში ემალებიან სულთა-მხუთავს სიცხეს, საზოგადოებრივი ცხოვრების უფერულობას და დიდ-გულათ მოსეირნე დამთვრალ სკანდალისტებს.

ამისთანა დროს ყოველთვის შესწყდება ხოლმე საზოგადო საქმეებზე ზრუნვის ხალისი და მისს მაგივრად ჩვენი ქალაქელების ყურადღებას იპყრობს ცირკი, ჯამბაზების თამაში, სპარსული მაიმუნები, რუსეთის დათვები და სხვ. და სხვ., გამართობელნი უქმ ოცნება ფანტაზიისა...

სწორედ ასეა ახლა აქ. მოგითხრობთ ამ „გამართობელ-დამავიწყებელს“ ამბებს. მიტომ უფრო სიამოვნებით ვასრულობ ამას, რომ წლევანდელ ზემოხსენებულთ მოვლინებათაგან ამკარად, ნათლად გამოსჩნდა ერთ გვარის (ჩვენდა სასიხარულოდ მეორე) წრის ზნეობითი და გონებითი ვითარება, მისი იდეალი და მოსწრაფება... მართალია, აქამდისაც კი ვიცოდით, „რაც შვილი გახლდა“ ის წრე, მაგრამ დღეს კი ყველას შეუძლია ცხადად დაამტკიცოს მისი სამარცხვინო თვისება.

—

პირველად გვესტუმრენ: ცირკი და ჯამბაზები, რომელნიც დაჩვეულნი იყვნენ ქუთაისში გამდიდრებას და ყოველს წარმოდგენაზე მრავალ პირთა დასწრებას. მოხდა უჩვეულებრივი შემთხვევა: ქალაქელების უმრავლესობა ერთჯერ კი დაესწრო მათს წარმოდგენებს და მერე შეაქცია ზურგი, „ესთეტიკურ სიამოვნებას თქვენგან არაფერს ვღებულობთ და, ამიტომაც, ნურას უკაცრავად თუ ფულები ვერ მოგართვათო“... გაკოტრდნენ დაუპატიჟებელი სტუმრები და მესამე წარმოდგენის შემდეგ გაჰქრენ უჩინრად.

ამ ნაირად ქუთათურებმა ერთი ბიჯი წაგვიდგამს წინ ესთეტიკურ განვითარების გზაზე, და ბუნების კანონით ეს ბიჯი მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს საზოგადოების წარმართების ბიჯსა სხვა გზაზედაც.

ესვე არ ითქმის მოხსენებულს წრეზედაც. იმან ცირკიც კარგად მიიღო და ჯამბაზებიც. ორთავეს საჩუქარს აძლევდა: აქებდა და ტაშს უკრავდა. მათი შიშველი გულ-მკერდი, ჩამრგვალებული კანჭები ექსტაზსა ჰგვრიდა მას და უხვად აჩარჯვინებდა უშრომლად ნაშოვნს ფულებს...

მათი გაპარვის შემდეგ ვიღაც ერმანისტანელმა ჩამოიყვანა სათამაშოდ

რეს, რომლის უხვი ბუნება და სხვა-და-სხვა იმის მცხოვრებთა ნიჭი და გონებითი ძალა ყველაში აღძრავს ინტერესსა და თანაგრძნობას.

„გამოვეთხოვები რა კავკასიას, მე არ შემიძლია არ მოვიგონო ის მოსამსახურე პირნი, რომელნიც ჩემს იქ მყოფობაში მოღვაწეობდნენ შეძლებისა-და-გვარად და პატიოსნად შრომობდნენ ამ ჩვენი საზოგადო სამშობლოს მშვენიერ კუთხის სასარგებლოდ. განსაკუთრებულის მადლობით ვიგონებ მე იმ დახმარებას, რომელიც აღმომიჩინა ამ მხრის გამგეობაში ჩემმა თანაშემწემ თ. სვიატოპოლკ მირსკიმ და თ. მელიქოვმა, რომელიც რამდენიმე ჯერ ასრულებდა ჩემს თანამდებობას, როგორც მთავარ-მმართებლისას, როდესაც მე კავკასიაში არ ვიმყოფებოდი, აგრეთვე მადლობით მოვიგონებ ჩემ მთავარ-სამმართველოს უფროსებს: აღრინდელს ბარონ ნიკოლაის და ახლანდელს ღენ.-ლეიტ. სტაროსელსკის. შემდეგ ვმადლობ აგრეთვე გუბერნიის მაზრებისა და ყველა ცალკე უწყებათა უფროსებს.“

* * *

გაზეთს „პორიადოკში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშნვა თფილისიდამ გაგზავნილი:

„ყველანი სახელმწიფო ხარჯის შემცირებაზედ ლაპარაკობენ ამ ჟამად. ურიგო არ იქნება, კავკასიასაც მიაქციონ ამ მხრით ყურადღება. აქაც არის შესამცირებელი ხარჯი. მაგალითად: უნდა მოისპოს ის უპირატესობა, რომელიც ეძლევა რუსეთიდამ აქ ჩამოსულ ჩინოვნიკებს: წლის ჯამაგირი წინ-და-წინ, გზის ხარჯი ერთი-ორად, ყოველ ხუთ წელიწადში მეოთხედი ჯამაგირი ემატებათ და სხვა; საჭიროა განმარტივება კავკასიის გამგეობისა ისე, როგორც ორენბურგის მხრის გამგეობა გაამარტივეს; კავკასიის მადნის წყლებზე რამდენიმე ათი ათას მანეთს ხარჯავს ხაზინა მუდამ წელს, სუბსიდიას აძლევს ამ წყლების კანტრაგენტს და საქმე კი ისე შეიძლებოდა მოთავსებულიყო, რომ ამ წყლებიდამ ხაზინას პირ-იქით შესავალი ჰქონოდა, და სხვ.“

* * *

ერთი სომხური გაზეთი („პსაკ“—გვირგვინი) გვაცნობებს, რომ ეჩმიაძინის პატრიარქმა გევორქ მეოთხემ ერთი მილიონი და ნახევარი მანეთი შესწირა ეჩმიაძინის სომხის აკადემიას თავის საკუთარი ფულიდამ.

* * *

რუისის სასოფლო სკოლის მასწავლებელი ბ. ი. ბულისაშვილი გვთხოვს შემდეგი წერილი დავუბეჭდოთ გაზეთში:

„რუისის სკოლის მზრუნველთა მონდობილობით, მაქვს პატივი გამოვუცხადო უმდაბლესი მადლობა საერთოდ, გულითად თანაგრძნობაზედ, იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ამ სკოლას, სხვა-და-სხვა ნივთების შეწირვის გარდა, ფულითაც შემწეობა აღმოუჩინეს და კვალადაც დაიმედეს იგი. ეს პატივცემულნი პირნი არიან: ღენ.-ლეიტ. კ. ქ. მამაცოვი, რომლისგანაც სკოლამ მიიღო 13 მ. და 50 კაპ., ზ. ი. მამაცოვი—10 მ., ან. პავ. მამაცოვისა—5 მან., ქრ. ი. მამაცოვი—10 მან., კ. ი. მამაცოვი—5 მ., თ. ნ. დ. დიასამიძე—10 მან., კ-ნა დიასამიძისა—10 მან. და გარდაცვალებული დ. ი. მამაცოვი—10 მანეთი.

* * *

თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ. ნ. მთვრელიშვილი სწერს დავით რექტორის (ცუკიას) ბიოგრაფიასა და თხოულობს, რომ თუ ვისიმეს რამე ცნობები მოეძებნება, ამ შესანიშნავ კაცის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, მომაწოდონო და შემდეგ მადლობით დაუბრუნებს უკანვე.

## „დროების“ კორრესპონდენციები

ფოთი, 21 აგვისტოს. პატარა ხანს მოსვენებული ვიყავით ქურდებისაგან; ახლა გაუწყრათ ღმერთი და ისევ დაიწყეს თავიანთი ხელობა. ეა ორი კვირა არის, რამდენიმე ქურდობა მოხდა, ისე ღამე არ გავა, რომ ვინმე არ გაქურდონ. ქალაქის არხიტექტორის სახლი, სომხის ეკლესია გაჰქურდეს; ამ სამი დღის წინათ ჟაკოს სასტუმროში გაჰქურდეს ახლად მოსულები ორი ინგლისელი: ლოგინში როგორც იწვნენ, იმის მეტი აღარა შერჩენიათ-რა; დილით რომ ადგნენ ზეწრებში გახვეული დადიოდნენ! მადლობა ღმერთსა, ფიცხელის განკარგულებით ქურდები სწრაფათ დაიჭირეს, დანაკარგი ნახეს 50 ოქროს მეტი. სკაპეცის მკვლელიც და სომხის ეკლესიის ნაქურდლების ნიშნებიც სულ ამ ბატონების ბინაში გამოჩნდა, დიდი შაიკა ყოფილა. გურულები ბრძანებულან.

აქამდის ყველა ავაზაკობას გარეშე მოსულს ხალხს ვაბრალებდით, ის კი არა ჩვენი მეზობლები, სიმართლეში ნაქები, გურულები ბრძანებულან!.

მადლობა ღმერთსა, რომ ინგლისელები გაჰქურდეს, თორემ თუ ჩვენი გაექურდათ ვინმე, თქვენი მტერი ყურსაც არავინ გაიბერტყდა.

ანკი რა გასაკვირველია აქ ქურდების გამრავლება, სადაც მთელს ქალაქში სრულებით ფარნები არ ანთია და განათების ხარჯი კი ეწერება მცხოვრებლებს!

დიდი წვიმებისაგან ქუჩის თხრილები სულ გავსებულია მიწით და პატრონი არ არის გაასუფთაოს, რომ წყალმა თავის-უფლათ იდინოს. როცა შემოდგომა მოვა და დრო აღარ იქნება გაკეთებისა, მაშინ მოიგონდებათ გაკეთებაც და სტეფანა რუსიც! ზაფხულში უდროვოთ დააყრეს ქუჩებს სილა, მტვერმა დაგვახრჩო, ახლა ზამთრას ტალახით უნდა დავიხრჩოთ!

უსუფთაობის რაღა მოგახსენოთ: საზოგადოთ ყველგან სიმყრალეა, მაგრამ უმეტესი სიბინძურე ლამბროვის სიმინდების მაღაზიის წინა, ტერ-შამანოვის დუქნების ეზოში, ბუტკების უკან და ეკკლესიის პირ-და-პირ, მუშების ფეხის ალაგი რომ არის გამოქიმული, ის ხომ სულ არაფერი.

ჩვენს სანაქებო ხიდზე აღარ შეიძლება თავის-უფლათ გავლა: ოთხმოცს ალაგს ჩატეხილია ფიცრები, სადაც ადვილად ფეხს მოიტეხს გამვლელი. ფაეტონი როცა გადის, ხიდის იჯარადარი ორივეგან ფრთხილად შემოიტონეს, ხიდი წამხდარია, ფრთხილად გადიო.

სახლების შემოსავლის დაფასებისა რაღა მოგახსენოთ? ღმერთმან კარგი ღამართოს კარგათ და სინიდისიანათ დამფასებელებს დაუფასებიათ: რომელს სახლსაც 500 მანეთი შემოსავალი აქვს, 700 მანეთი დაუწერიათ და რომელსაც 700 მანეთი აქვს შემოსავალი, სამასი მანეთი დაუწერიათ.

წარმოდგენებმა, ცირკმა და ფოკუსებმა ცოტა არ იყოს თავი მოგვაბეზრეს. კვირა ისე არ გავა, ერთი წარმოდგენა არ იყოს მაინც.

ქართული ტრუპა ბათუმიდან რომ დაბრუნდა, სამჯერ წარმოადგინეს; ორი წარმოდგენა ძალიან კარგი და ლაზათიანი იყო, საზოგადოებაც მადლიერი დარჩა, ხოლო მესამე ძალიან ცუდი და ულაზათო, თურმე იმისათვის რომ მესამე წარმოდგენის შემოსავალი წინათვე გაჰყიდული ჰქონიათ და რა ენაღვლებოდათ, როგორც უნდა წარმოედგინათ. მაგრამ არც ეხენი გაიმტყუვნებიან, რადგანაც, როგორც თვითონ განაცხადეს, წიგნები დაჰკარგვიათ... წიგნების დაკარგვას ვინ სჩივის, ნეტავი ერთიანათ დავთრები არ დაეკარგოსთ, რადგანაც, საუბედუროდ, ჩვენში ყველაფერი დღე-ნაკლული იბადება...

ორიოდ სიტყვაც ჩვენ მანდილოსნებზედ უნდა მოგახსენოთ: საზოგადოთ ძალიან „გაგვიფრანტდნენ“ წახედულობით. შეეჩვივნენ რამსის და ლოტოს თამაშობას და თითქმის ღამეს არ აცილებენ, რომ არ ითამაშონ. ვერც ამათ გავამტყუვნებ, თავიანთი უსტაბაში ჰყოლიათ და ჯარიმ ს ახდევინებს თურმე ვინც დააკლდება კრებაში... მაგრამ მაინც ერთობ მეტია, უდრო-უდროვოთ ლოტოს და რამსის თამაში გათენებამდის მომეტებულათ იმისთანებისთვისა, რომლის ქმრებსაც შინ კატა ვერას შეუჭამს და გარეთ ძაღლი, და

გაწერთნილი მაიმუნი ჩინებულად მოთამაშე და გასაოცარი მჭამელი და ღვინის მსმელი. ამან სულ გადარია მოხსენებული წრე; სახლიდამ სახლში დაჰყავსთ ეს მაიმუნი, სულ-განაბული უყურებენ მისს სხვა-და-სხვა რიგს თამაშს, ნამეტურ ბურთისას, ხარხარობენ, როცა ის იგრიხება და იპლაკება და ნაცვლად ამ სიამოვნებისა სძლენიან მას ყოველ-ნაირ ალერსს... დაბეჯითებით ამბობენ და ჩვენც ვიცით, რომ მოხსენებულის წრის კაცებს და მეტადრე ქალებს ერთობ ძვირად დაუჯდა ეს სიამოვნებანი და ბევრი რამც დაჰკარგესო...

—

ცუდად გაზრდილი, უმეცარის და გაიძვერა—კაცის გადასწორება შეუძლებელია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ გვარ პირებს უბრძოლველად შევარჩინოთ მათი საძაგლობის ასპარეზი. დროზედ და პირ-და-პირ დამიზნებულის გამომქლავნებითა და ვაკიცხვით უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება შევამცირებინოთ მათ მათი ასპარეზის საზღვრები და ამ შემცირებულს საზღვრებშიაც გაუძნელოთ ნავარდობა.

მაშ ნუ გვიწყენენ ნურც ზემოხსენებული წრე და ნურც ქვემოხსენებული უფროსი ერთის მაზრისა ჩვენს გამამხილებელს სტრიქონებს, თუ არ დაიშლიან წყრომას და

გით მათ ქვეყანა, მეც წყრომა
მათი ფეხზედ მკიდია!

ამ დღეებში ქუთაისის გუბერნატორს მოუვიდა *-ის მაზრის უფროსისაგან ერთი იმისთანა საზიზღარი დაბეზღება, ДОНОСЪ-ი, ერთს პატიოსანს კერძო პირზე, რომ მისს მოსათხრობლად, რუსთველის თქმისა არ იყოს „ენა დაშვრების“ და „მსმენელისა ყურნიცა დავალდებიან!“ და ამ საზიზღართა უსასიზღრესმა დაბეზღებამ თითქმის გადააჭარბა რუსების ბ.ბ. ბულიუბაშისა და მახოვის ДОНОСЪ-ებს. იქნება ჩვენებურმა ბულიუბაშმა არ იცის-რა სასჯელი მოსდევს მისს დაბეზღებაში შეწამებულს ზოგიერთს თვისებას,—ეს სრულიად დასაჯერებელია და კიდევაც ჩანს მისივე დასკვნიდამ, მაგრამ დაბეზღება რომ იმ აზრით დაუწერია, ამ პირს ჩემის მაზრიდამ ბარგი გადავატანინო, რადგანც მე არ მომწონს იგიო, ამაზედ ეჭვი არ არის.

ამ ჩირქიანის გულის წადილისათვის მას მოუხმარია იუდა ისკარიოტელის სიმხნე და, როგორც ზევით მოგახსენეთ, გუბერნატორს შესჩივლა მისგან შეძულებულს პატიოსანს პირზე, სასამართლოს პრისტავზე, რომელზედაც უნდოდა ჩვენი გაზეთის ჯავრი ამოეყარა.

დიაღ, თავი-და-თავი მიზეზი გახლავს შარშან „დროებაში“ დაბეჭდილი კორრესპონდენციები ამ ვაჟბატონის მაზრაში უწესოების, ავაზაკობის და ქურდობის გავრცელების გამო. იმ კორრესპონდენციებში დამტკიცებული იყო, როგორც ორჯერ-ორი ოთხია ისე, რომ მისი ხარისხოვნება არის . . . . . : უფროსი მაზრისა, რომ მისს მაზრაში იმდენად არის წესი, რამდენათაც ველურს დაჰომე-ლებში და სხვ. და სხვ. ყველა ამისთანა კაცებისათვის მართალი სიტყვა, მეტადრე გაზეთით თქმული, არის ლახვარი გულისა, სულის სატანჯველ-

ესენი კი ჩუთ და ათ მანეთობით აგებენ ლამეში...

ვინმე ფშოთელი.

---

**თელავი**, 22 აგვისტოს. წინათ თელავში იყო ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი და ერთიც მოსამზადებელი კლასი ჰქონდა; რადგანაც სამღვდელოებამ ველარ შეინახა მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი, ამიტომ იგი მოისპო. შემდგომ რამდენიმე დროისა სამღვდელოებამ იგრძნო, რომ მას არ შეუძლიან შვილების მომზადება პირველი კლასისათვის და ბევრმაც ნაცვლად მომზადებისა მიაყოლა შვილი ძროხას... თუ რომელიმე მღვდელი აბარებდა შვილს, რადგანაც საკმაოდ ვერ აძლევდა შრომის ფასს, ეუბნებოდა ერთ თუმანს მოგცემო და კიდეც იმსახურეო. შენის ღვთის გულისათვის ანბანა და ორიოდე ლოცვა კი ასწავლეო. ზოგიერთი ამასაც არ ასწავლიდა ხეირიანად, და თუნდ ესენიც სცოდნოდა, განა საკმარისი არ არის პირველ კლასში მისაღებად საიდგანაც უნდა დაიწყონ ლათინური, რუსული გრამატიკა, სამღვთო ისტორია და სხვა საგნები და სადაც აგრეთვე, წესდების ძალით სწავლა უნდა მიდიოდეს რუსულ ენაზედ? ძლივს რის ვაი-ვაგლახით გახსნეს მოსამზადებელი სასწავლებელი კლასები, რომლებიც დღევანდლამდინ მიჩანჩალებენ. მასწავლებლებისთვის ფული ზოგი ბლაღოჩინიდგან ძრიელ გვიან მოდის, ზოგს კი, როგორც აღმოჩნდა, აუღიათ და შეუჭამიათ; ამის გამო ხდება ხოლმე, რომ ყველა მასწავლებლები, როგორც ნორმალური კლასებისა, აგრეთვე მოსამზადებლებისაც, იღებენ ჯამაგირებს რომელიც მოსდით კანტორიდგან ნორმალურ კლასების მასწავლებლებს და ბოლოს კი ყველანი დარჩებიან ხოლმე უჯამაგიროთ რამდენიმე თვით.

წელს პირველათ დაასრულეს კურსი თელავის სასულიერო სასწავლებელში იმ პირთ, რომელნიც იყვნენ სხვათა შორის მოსამზადებელ კლასშიც და ძრიელაც კარგათაც შეასრულეს, თუ სულ არა, სამმა მეოთხედმა მაინც, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ზოგიერთი ამათგანი დახდნენ ავათ გულის-ტკივილით, რადგანაც მეოთხე კლასი სდგას გვირაბზედ რომელიც ჩადის წყალზედ საიდამაც ისეთი საძაგელი სუნი და სიცივე ამოდის, რომ ძვირათ შეიძლება უავათმყოფოთ გადარჩეს იქ მჯდომი მოსწავლე და ძვირათ შეიძლება, რომ იმ კლასში შემსვლელმა მასწავლებელმა მთელის წლის განმავლობაში გაიშოროს სურდო; ყველა ამების გარდა დიდათ გასაკვირველი არის: როგორ არ ეშინიანთ მასწავლებელთ, რომ ერთი იგრიალოს ამ ძველმა შენობამ და ამოხოცოს ამოდენა ხალხი. მე რომ ვნახე ეს შენობა, სწორეთ უნდა ვსთქვა, ვირჩევ ომში წასვლას ვინემ აქ, ამ სკოლის მასწავლებლობას და იმ სახლებში გაკვეთილის მიცემას; მაგრამ რა ქნან ამ საწყლებმა?...

ყველა ზემო-აღნიშნულნი მიზეზნი იყვნენ სამღვდელოთა ყრილობისა ქალაქ თელავში; ივნისის ნახევარში სასწავლებლის მმართველობამ აცნობა ექსარხოსს, რომ მოსწავლეთა რიცხვი გამრავლდაო, ასე რომ ეხლანდელი კლასების ოთახები თავიანთ სიპატარავით ველარ ასრულებენ თავიანთ დანიშნულობასაო, ამის გამო ექსარხოსმა მისცა ნება სამღვდელოთა სხდომისა 23 ივლისს თელავში; მაგრამ რადგანაც ნება-რთვა თვით სასწავლებლის მმართველობას მოუვიდა მხოლოთ 16 ივლისს, ამის გამო ზოგიერთ ბლაღოჩინს არ შეეძლო დეპუტატების გამოგზავნა სხდომაზედ; მაინცა-და-მაინც, რომელ ბლაღოჩინსაც მიელო მიწერილობა ყველას გამოეგზავნა დეპუტატები.

ოც-და-სამს ივლისს სხდომა ვერ მოუხდათ, რადგანაც რიცხვი დეპუტატთა იყო მცირე. ამის გამო ექსარხოსს სთხოვეს მეორეთ სხდომისთვის დრო 18 აგვისტოს. ექსარხოსმა მისცა ნება. ახლა ქიზიყელი დეპუტატები აღარ მოვიდნენ. დეპუტატთა რიცხვის სიმცირის გამო არც ამ დღეს შესდგა სხდომა. კიდევ მესამეთ სთხოვეს ნება სხდომისა 1 სეკტემბრისათვის და მიიღეს კიდევ ნება და ვინ იცის ახლა მაინც მოვლენ თუ არა. თქვენი მტერი, თუ სხდომა არ მოჰხდა და სასწავლებელი არ დაიხსნის გაჭირებულის მდგომარეობიდგან, ან სულ დაიკეტება და თუ სულ არ დაიკეტა, მოსამზადებელ კლასებს კი არ ასცდებათ ეს უბედურება...

ივლისის დამდეგ რიცხვში ერთ ურიას, რომელსაც ჰქონდა სავაჭრო დუქანი თელავის მაზრაში, ეყიდნა ფშაველისაგან ოცი თუმნის ცხვარი, მოეყვანა და თელავის ყასბებისთვის მიეყიდნა. ფშაველს წაელო შინ აღნიშნული ფული და შეენახა. ორი კვირის შემდეგ დასჭირებოდა ფული, ამოელო ერთი თუმნიანი და მიეტანა მედუქნესთან დასახურდავებლათ. დაეხედნა მედუქნეს და ეთქვა: ყალბი არის ეს ფული ვერ დაგიხურდავებო. ფშაველს ჩიტივით გაჰხეთქოდა გული, მისულიყო შინ, ამოელო დანარჩენი ფულები და მოეტანა გასაშინჯათ. ენახათ და სულ ყალბი აღმოჩენილიყო. საწყალი ფშაველი, მაშინვე შემჯდარიყო ცხენზედ და გამომგზავრებულიყო თელავისკენ. არ მახსოვს—თელავში, თუ თელავს ახლო ბედზედ შეხვედროდა ერთ ურიას, რომელიც დასწრებოდა ცხვრების გაყიდვას და ფულის ჩაბარებას. იმას გამოჰკითხეს ვინაობა იმ ურიისა, რომელმაც იყიდა ფშაველისაგან ცხვრები და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ორნივე ყოფილან ამხანაგები ამა და სხვა საქმეებშიაც. ეს ურიები შეჰკრეს მაგრათ და გაატანეს ფშაველს ერთი ჩაფრით თიანეთში. არ ვიცი როგორ არის იმათი საქმე: გამართლდნენ თუ იქაც გამტყუვნდნენ.

ამ ორ დღეს თელავშიაც რაღაც ლაპარაკია ყალბის ფულის გამო. როგორც შევიტყე პოლიცია და გამომძიებელი დადიან დაჰჩხრეკენ ფულებს იმისთანა ოჯახში, სადაც ეჭვი აქვთ. ამბობენ, ქალაქის პრისტავი ბ. დ. მესხიევი ამავე საქმეზედ არის წასული შილდაში, რადგანაც იმ სოფელში დიდძალი ფული არის დატრიალებული ქალაქის სირაჯებიდგან. ჯერჯერობით ამ ჩხრეკამ ვერაფერი აღმოაჩინა რა. უკეთესი კი იქნებოდა, რომ იმწამსვე მოეკიდნათ ამ საქმისათვის ხელი, როდესაც პირველათ შეიტყეს ფშაველისაგან; თორე ეხლა ყველა, ვისაც კი აქვს, მიჰმალამდა.

ი. წარათელი.

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** რადიკალური და რეაქციონური გაზეთები სასაცილოთ იღებენ გამბეტტის მომავალ სამინისტროს; ზომიერ-რესპუბლიკელების გაზეთები კი აქებენ მას და ამბობენ, რომ გამბეტტა „მეორე ტიერი" უნდა გახდესო. გამბეტტას მტერები გაიძახიან, რომ მისი სახელი ძალიან დამცირდაო, ის თავის დღეში ველარ მიიმხრობს თავისკენ პარლამენტის უმეტესობასო და არც რესპუბლიკის პრეზიდენტი გრევი მიანდობს მას კაბინეთის შედგენასო. ზომიერ-რესპუბლიკელებს ეშინიანთ რადიკალებისა, მაგრამ გამბეტტას მეთაურობის დიდი იმედი აქვთ. რადიკალები კი თავიანთი მხრით თან-და-თან უფრო-და-უფრო გაიძახიან და თხოულობენ სენატის გაუქმებას და მმართებლობისაგან ეკკლესიის განკერძებას.

—

**ამერიკა.** გაზეთ *Daily News*-ის ნიუ-იორკელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ამერიკაში გამოჩნდა კიდე ერთი პირი, რომელიც თავის თავს რუსის პოლიტიკურ დამნაშავეს გარტმანს უწოდებს, მაგრამ ეს არავის არ მიაჩნია სიმართლეთ, რადგან დიპლომატიურ წრეში ამაზედ არავითარი ნამდვილი ცნობა არ არის ჯერ-ჯერობით.

მთელი ევროპის დიპლომატობის ყურადღება ამ ჟამად არის მიქცეული ამ გვარ გარდასახლებულ პოლიტიკურ დამნაშავეზედ და მათ რიცხვში

---

ლი და დამწყვილი კუჭისა. რასაკვირველია, ისინი არაფერს ღონის-ძიებას არ ზოგვენ ოღონდ კი რამე ავნონ იმისთანა წერილების ავტორებს და თუ ამ უკანასკნელებს არ იცნობენ და არ იციან ნამდვილად—ვინ არიან ისინი, მაშინ სულ ერთია მათთვის: ვინმეზე მათთვის უსიამოვნო პირზე აიღებენ ეჭვს, როგორც ამ შემთხვევაში, და მოინდომებენ მათზე ჯავრის ამოყრას. . . . . . . . . . . .

მიახწევს თუ არა ამ შემთხვევაში? ჩვენდა სასიამოვნოდ, ჯერ ყველა ნიშნები წინაალმდეგს მოასწავებს და სრული იმედიცა გაუმტყუვნდეს იმედი მაზრის გამგე-მედანოსეს.

ამბის-მოყვარე მკითხველი უთუოდ ისურვებს, რომ გადავსცეთ მთავარი აზრი და გამამტყუვნებელი მუხლები ამ დაბეზღებისა. ვუსრულებთ სურვილს და მითი შთამომავლობას არ ვუკარგავთ ძვირფასს საბუთს.

წინდაწინვე კი უნდა ვსთქვა, რომ ეს ცნობები გადმომცა საიმედო პირმა, რომლის ხელშიაც ამ **доносъ**-მა გაიარა...

„მოვალედ ვრაცხავ ჩემს თავს, რომ გაცნობოთ, თქვენო აღმატებულებავო, სწერს გუბერნატორს მოხსენებული მაზრის უფროსი, რომ სასამართლოს პრისტავი ი. თ—შვილი არ არის კეთილ-საიმედო (**благонадежный**) პირი, არამედ ორგულია ტახტისა და მტერი სახელმწიფოისა, რადგანაც

ა) სწერს „დროებაში" ცრუ კორრესპონდენციებს მაზრის ადმინისტრაციაზე, წესებზე და მითი აღელვებს ხალხს;

ბ) შეცულია ნიჰილისტურის აზრებით და **ხალხში ავრცელებს** ამ აზრებს;

გ) ცუდი ყოფა-ქცევის და ზნისაა;

დ) ეკკლესიაში სრულიად არ დაიარება."

ამიტომ გთხოვთ ჩემის მაზრიდამ სხვაგან გადაიყვანოთ, მაგალითად, მისი გადაყვანა შეიძლება რაჭაში".

ეს „დანოსი" გუბერნატორმა გადასცა ოლქის სასამართლოს, რადგანაც მას ექვემდებარება დანოსში მოხსენებული პირი. სასამართლომ პასუხი მოსთხოვა ი. თ—შვილს, რომელმაც სასწრაფოდ გამოგზავნა ვრცელი ახსნა იმ „დანოსის" მიზეზისა და შინაარსისა. სასამართლო დაკმაყოფილებულა ამ ახსნით და საბოლოოდ კი განაჩენს დაადგენს თავისს ზოგადს შეკრებულებაში.

ეჭვი არ არის თ—შვილს არაფერი ევნება, მაგრამ ნუ თუ იმისთანა მაზრის უფროსი, რომელიც მისს ქალაქში ძრიელის ცეცხლის გაჩენის დროს მწვანე სტოლს ვერ მოშორებია; რომელიც სრულიად არ სცდილობს მაზრის მდგომარეობის გაუმჯობესობას, და კიდეც რომ სცდილობდეს, არ შეუძლია და რომელიც იგონებს ამისთანა „დანოსს" მართალს კაცზე და სურს დაჰღუპოს იგი,—ნუ თუ ამისთანა მაზრის უფროსი კიდევ უნდა დარჩეს მაზრის უფროსად მთელი მხრის გამგებლად?!

სად ხარ, ჰოი, სამართლიანობავ?!

და უმეტესათაც პარტმანზედ. ადვილი წარმოსადგენია, რომ ბევრი სხვა გარდასახლებულნი განგებ ირჩმევდნენ პარტმანის სახლს, რომ ამით უფრო დაუხლართონ მის მაძიებელთ კვალი, მაგრამ ეს ანგარიში არ გამოადგებათ მათ, რადგან პარტმანს ძალიან კარგათ იცნობენ სატახტო ქალაქების პოლიციის აგენტები.

# განცხადებანი

სამოსწავლებლო ოჩუგა ქუთაისის ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებლისა ამით აცხადებს ქუთაისის მცხოვრებთ, რომ ამ სასწავლებელშიდ ყმაწვილების მისაღები თხოვნა—თან წარდგენით მეტრიკის წიგნიდამ გამოწერილობისა და—თუ ყმაწვილის მშობელნი ღარიბნი არიან, ქალაქის გამგეობის მოწმობისა, უნდა მიეცეს სასწავლებლის ზედამხედველს ამ წლის 1-ს სექტემბრამდინ.—

თხოვნა მიიღება: 25-ს აგვისტომდის ქალაქის გამგეობაში, ხოლო 25-ს აგვისტოდამ კი თვით სასწავლებლის სადგომზე, რომელიც იმყოფება თ. ნიკოლოზ სიმონისძის წულუკიძის სახლებში, სილაზე, მესხეთის ქუჩაზე.— (3—1)

---

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზედ, სტრახოვების სახლებში, № 85 ახლად გაიმართა საგარეჯიშო კლასები და პანსიონი ამზადებენ ყველა კლასებში საშუალო სასწავლებლებისა.

(2—1) გარტინსკი და მირზაშვილი.

---

ადვოკატი პეტრე ტროფიმისძე გარდიევსკი

ამით აცხადებს, რომ ის იღებს თავის-თავზე **სუდებში** დაცვას და წარმოებას **სამოქალაქო** და **სისხლის სამართლის საქმეებისას.**

ღარიბი მონდობილება ქუთაის გარეთ მცხოვრებლებიდგან იქნება ასრულებული დაუყოვნებლივ.

მუდამი ბინა მექნება ქალაქ ქუთაისში, ბილახვარის ქუჩაზე, ნიკოლაიშვილის სახლში. (5—2)

---

**მიწა** იყიდება იმ ალაგას, სადაც აპირებენ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. საჟ. მსურველმა იკითხოს ინგლისის მაღაზიაში. იქვე იყიდება ბაღი 1,300 კვ. საჟ., მიხაილოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. საჟ. (10—10)

---

ჩარკვიანის და ამხ.

# წიგნის მაღაზია

გადავიდა თ. მუხრანსკის სახლებში, ატამანის ქუჩაზე, საქართველოს ვოსტინიცის პირ-და-პირ № 15. 5—5

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებული ნამდვილი ჩაის-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, შურშლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბოკისი ზეთისა) და სხვ. საადგილო მაკინტოშის მოსასხურავეს გასასყიდლად კანფეტების და სატკბერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხილქისისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავახის გიარები. (100—13)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამ-შვენი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—22)

---

ჩაის მცოდნე, პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. ტფილისში და გაიგებთ რამდესათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—27)

---

ამოცადილ მასწავლებელსა სურს მიიღოს თავის ოჯახში ორი ყმაწვილი წლოვანებით 8 12-დინ წმ. დავითის ქუჩა ნომერ 1 ზედა სართული, სამი საათიდგან შუა დღისა საღამომდინ. (3—3)

---

ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—17)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—8)

---

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის ქარვასლაში
(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან
— — 1 მ. 10 კაპ.— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.
ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—32)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** სააგენტო პარისის უნაგრების გასასყიდლათ, ჯოისის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. კაშრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—96)

---

ბრიქულოვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ.) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

---

**ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში** (ალექსანდროვის ბაღთან, რუსის სუდის გვერდით) ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველთ ტომის დასაწყისზე თხზ. დ. ბაქრაძისა ფასი 20 კ.

ლექსნი, თქმული ვ. ს. ორბელიანისაგან, ფასი 15 კაპ.

დავითიანი, გურამიშვილის დავითისა, ფასი 1 მან.

პონტის მეფე მიდრატად დიდი დ. ბაქრაძისა, ფასი 10 კაპ.

სამშობლო, ანუ ლექსთა კრება მიხეილ აბულაძისა, ფასი 10 კაპ.

პოლემიკური საუბარი მღვდლის მაჰმადიანთ მოლასთან, თხზ. მღვდ. სიმეონ ბეგიევისა, ფასი 70 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, книжный магазинъ Захарія Чичинадзе.** (5—5)

---

ინგლისური ინგბერ შამპანის ღვინო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭელით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.** (10—7)

---

ამა წლის პირველ სექტემბრიდგან

გამოიცემის ქ. ქუთაისში

თავ. დიმ. ელ. დადიანის რედაქტორობით

ყოველ-კვირის საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი სახელად

## „შ რ ო მ ა"

გაზეთის პროგრამმა.

I სტატიები თანამედროვე კითხვებზედ II ტელეგრამმები. III ადგილობრივი ამბები და შენიშვნები. IV ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები. V ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა. VI შინაგანი და გარეგანი წერილები. VII საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი. VIII კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურაზედ. IX ფელტონი. მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა და სხვა შენიშნვები. X ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა. XI სამსაჯულო ცნობები და შენიშნვები. XII ცნობათ-ფურცელი და განცხადებანი.—

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალის საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, ხანდის-ხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლით—შვიდი მანეთი, ნახევარის წლით—ოთხი მანეთი, სამის თვით—ორი მანეთი და ხუთი შაური და ამა წლის პირველ სექტემბრიდგან მომავლის 1882 წლის პირველ იანვრამდი—სამი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემსცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) ვ. გ. წულუკიძის სტამბაში, ტფილისის ქუჩაზედ, მერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში, გიმნაზიისა და სათავადო ქუჩის კუთხეში.—

ქ. ტფილისში: ბ. შიუქრდოვის გაზეთთა სააგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

გამომცემლები: თავ. დ. ე. დადიანი და დ. ა. ნაზაროვი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. ზამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭყონიავაძე და ს. მესხი